

## პრესრელიზი

**დავით ბეჟუაშვილი საერთაშორისო კონფერენცია „Oil & Gas Turkmenistan 2017“ -ში იღებს მონაწილეობას.**

**Tendencies and perspectives of cooperation in oil and gas sphere to be discussed at OGT 2017**



On November 2 - 4, 2017, Ashgabat will host XXII International Exhibition Oil and Gas of Turkmenistan and the conference dedicated to tendencies and perspectives of cooperation in oil and gas sphere. The State Concern Turkmenneft and Trade and Industrial Chamber of Turkmenistan are the hosts of branch forum.

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე დავით ბეჟუაშვილი თურქმენეთის ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კონფერენცია „Oil & Gas Turkmenistan 2017“ -ში იღებს მონაწილეობას. კონფერენციაზე განიხილება რეგიონის ენერგოუსაფრთხოებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხები. საქართველოს მხრიდან კონფერენციაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია თურქმენეთთან სამომავლო ურთიერთობების განმტკიცებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისთვის.

საქართველოს დელეგაცია კონფერენციაში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ილია ელოშვილის თავმჯდომარეობით მონაწილეობს, რომელიც აშხაბადში სიტყვიტ გამოვიდა. საქართველო გამოხატავს პოლიტიკურ მხარდაჭერას "ტრანსკასპიური მილსადენის" განხორციელების მიმართ და აქტიურად მონაწილეობს "აშხაბადის დეკლარაციის" ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში, - განაცხადა ილია ელოშვილმა.

კონფერენცია თურქმენეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილემ მაკსატ ბაბაევმა გახსნა და თურქმენეთის პრეზიდენტის გურბანგულ ბერდიმუჰამედოვის სპეციალური მიმართვა წაიკითხა. კონფერენციაში ასევე, მონაწილეობენ ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ენერგეტიკის საკითხებში მაროშ შეფჩოვიჩი, ენერგეტიკული ქარტიის გენერალური მდივანი ურბან რუსნაკი და რეგიონის ქვეყნების უმაღლესი დონის დელეგაციები. საქართველოდან კონფერენციას ესწრებიან საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დირექტორი ირაკლი ბენდელიანი.



## პრესრელიზი

საერთაშორისო კონფერენცია „Oil & Gas Turkmenistan 2017“ ორდღიანია და 3 ნოემბერს სრულდება

კომპანია “ჯი-აი-ჯი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

